ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2886856

ნომერი: AR1436273

თარიღი : 30.08.2016

გაცემის თარიღი : 20.10.2016

გაცნობის თარიღი : 20.10.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თ. ერისთავი , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი დალაქიშვილი პ/ნ 31001040497
- მცხეთის რ-ნი სოფ. მუხრანი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1436273 (30.08.2016წ.) ელექტრონული განაცხადის პასუხად, განმეორებით გაცნობებთ, რომ საკითხი განხილული იქნა „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ სხდომაზე, რომელზედაც მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თ.ერისთავის ქუჩა N8–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.12.12.003.069), მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გაცემასა და ძველი დავალების და პროექტის გაუქმებაზე.საკითხი შემდგომი განხილვისათვის გადაგზავნილი უნდა იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, თუმცა პირველ რიგში მოთხოვნა უნდა დააყენოთ სამსახურის მიერ გაცემული გრგ–ს პროექტის და გრგ–ს დავალების გაუქმებაზე; ასევე გრგ–ს გეგმარებითი დავალების და პროექტის გასაუქმებლად საჭიროა წარმოადგენოთ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეების (#01.12.12.003.069 და #01.12.12.003.070 საკადასტრო ერთეულების) შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა, ასევე შესაძლებელია აღნიშნული პრიოვნებების მონაცემები დაფიქსირება ამავე განაცხადზე თანაგანმცხადებლად; ამასთან გთხოვთ გაითვალისწინოთ ზონალური საბჭოზე მიღებული რეკომენდაციები და წარმოადგინოთ სრულყოფილი წინასაპროექტო კვლევა; ტოპოგრაფიულ გეგმაზე დასატანია უფლებამოსილი პირის ხელმოწერა; გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.